აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №9

ქ. აბაშა, 2020 წლის 31 ივლისი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაზა გაბელაია, შოთა ჭანტურაია,ზურაბ შუბლაძე და კოკი ჩაჩავა.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბი მელია, ბენია პიტავა და ელვარდი ნოდია.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს: გ.კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ.გაბელაიამ, შ.ჭანტურაიამ და კ.ჩაჩავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: გ.კუპრავა